



იან გუბაშვილი

ანი, რა ყოფილან
თურმე სიყვარული

ია ბურღული

ანი, ჩან ყოფილან თუჩა
სიყვანაშული

ლექსები

თბილისი
2013 წელი

ამ პატარა ამბებს ვუძღვნი ჩვენს დედებს

წიგნში თავმოყრილი ლექსებით ავტორის ცხოვრება იკითხება, რომელიც სიყვარულითა და სიფაქიზითაა გაჯერებული. მისი შემოქმედების მასაზრდოებელი ქართული სიტყვა, მიწა და სარწმუნოებაა.

გეამაყება, რომ ჯადოსნური ხელით დანერგილი მარადმწვანე მსხომიარე ხე ქართული პოეზიისა კიდევ ერთხელ იმოსება ახალ-ახალი ყლორტებითა და ყვავილებით.

გზა დავულოცოთ პოეტს და ვუსურვოთ, ღირსეული ადგილი დაემკვიდროს ქართული ლექსის ოსტატთა შორის.

რედაქტორი ლალი სეთურიძე

მხატვარი ანა ჩახვაძე

გაზაფხულ-ია!

(თამუნ-ია)

ხედავ როგორ ტყდება წყალზე მზის სხივები?—
თითქოს მიცურავენ პირიქით ტივები,
ნამისგან იგება ფაქიზი მძივები,
როცა კვირტი სკდება, ცოტათი ვიბნევი:

გესმის სიჩუმის მუსიკა? —
შენს თავს გაიცნობ თუ გინდა!

2013 წელი

... და ნინო

ახლა ყველამ იცის კაბადოკია,
ცხოვრება თურმე ბეწვის თოკია,
მასზე ეკიდა ნორჩი ყვავილი
ღვთისმშობელმან აჩუქა მანდილი.
ამით დააფრთხო თურმე მაქციები
და დაუწუნეს თამამი საქციელი.
შეუმჩნევია დედოფალ ნანას —
სიყვარული ხომ ყვავილებს ქარგავს.
გადაურგია სალომე უჯარმელს,
მანამდე, ალბათ, დედოფალს უდარდელს.
აქვე აყვავდა პეროჟავრია —
ჰო, ჯავახეთი ჩემი ჯავრია.

P.S. მართლა ყვარებია სიდონიას —
ალბათ, არ იცნობდა ირონიას.

2013 წელი

ყველაფერი ტრიალებს?

(... რადგან იცოდა, რა იყო ადამიანიში)
იონე 3, 25

გახსოვს ჰეროდე:
„მოგვებს ველოდე!
აქ ხელმწიფება
მხოლოდ მე მინდა,
არ მეფიქრება
მსხვერპლის შეწირვა –
საქმეა წმინდა!“
იმ ღამეს წვიმდა?

გადარჩა სიტყვა
სულ ერთი ციციქნა –
ვარსკვლავმა ისხნა
უდაბნოს მიღმა
და შედგა მირქმა –
მზის სხივი იშვა!

P.S.

გაგრძელდა სისხლის კვალი –
აღმართს გაუყენეს მგზავრი.

2013 წელი

მეცნიერება

(უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა)

როცა მიდიხარ ქუჩაში მარტო,
ფიქრი თავისთვის რაღაცას დარდობს,
ხვდები, რომ მიწას ყვავილი ართობს
და სიყვარული არაფერს არ გთხოვს.
ის ხომ აქ სუფევს, შეიმოსა მშვენიერება!
განა არ ვიცი: წინ მიიწევს მეცნიერება,
მაგრამ ბოლომდე ვერ ითვლის წუთებს,
ჩიტი თავისით აშენებს ბუდეს.
ზოგჯერ წყალსაც კი ცეცხლი ედება,
ვერ დაინახე? მოგესალმა ბედნიერება!

2013 წელი

ზღვა და კიპარისები

იცი, რა ფერი აქვს წიწვების მტვერს?
როცა სხივები ადნება მზეს!
იცი, როგორი სუნი აქვს ზღვას?
როცა მზის ბილიკის წადილი მკლავს!
მიწამ ხომ ფესვი თავისკენ იხმო
და არ დასჭირდა ოთახის სითბო?
ჰოდა, გადარგვის ისევ ვარ უარზე,
არ მინდა, ვიარო სელენას ჭკუაზე.

2013 წელი

ისევ მოდერნი, თუ ბეთჰოვენი?

გახსოვს მუნკის „ყვირილი“
და ილიას ტკივილი?
ან ექვთიმე სახიფათო გზებით,
როიანი დაკარგული სმენით?

- ისევ გამიჩნდა სადარდებელი:
საით წამიყვანს მატარებელი?
- აქ არ ილევა ჭირი და ლხინი...
მართლა დაგვაკლდა თვალებში ჩინი?

2013 წელი

რა არის დაღლა?

(შენ ხომ იცნობდი ლადო ასათიანს –
იმედით ხვდებოდა ყოველ განთიადს)

ხშირად მახსენდება გოდერძი ჩოხელი
და მაინც სიკვდილს მორჩილად მოველი.
აღლბათ, ეს ყოფა მართლა არ კმარა –
„თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს“ –
ვერ დავადექი ბილიკებს მოკლეს!
ვიცი, დამქანცავს ტარება ლოდის,
გზაზე შევხვდებით! ვინ იცის, როდის?

2013 წელი

შობის მოსალოცი ჩვენთვის (ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი)

უსიყვარულოდ იარე თუკი,
მოგეჩვენება ტკივილი ფუჭი,

თუნდაც აგროვო ოქრო და ვერცხლი
ყოველდღე მუჭით
დროს ვერ მოიგებ, ვერც ერთი წუთით.

ქვეყნიური ჯოჯოხეთის წამება
უსათუოდ სიკვდილამდე გაბყვება,

მერე არ ვიცი, იქნება რა?
აგერ მიწა და აგერაც ცა!

2013 წელი

ძველების სიმღერა

„წყალნი წავლენ და წამოვლენ,
ქვიშანი დარჩებიანო“,
ზღვას შეერევა მდინარე –
თევზები ვერ ჩივიანო.

ცისკენ ბრუნდება ნისლეები,
თავს არ მანებებს ფიქრები –
მაწვალებს „Momento mori“,
იქ ხდები ტოლი და სწორი.

2013 წელი

ზოგჯერ დეფექტი არის ეფექტი (ზოგჯერ კი პირიქით)

ძნელია, არ გაება მახეში
ისე იარო ამ არემარეში,
„ყოფნა არყოფნა“ წყდება წამებში
რატომ გაგზავნეს ნესტანი ქაჯეთში?

საით იფანტება სისხლი და გინება,
აღბათ, სიყვარული უფრო შორს იღვრება?

2013 წელი

რამ გამაკვირვა ნეტავ?!

ცას არ უკვირს ღრუბელი,
დედამიწას სულელი,
დაიჯერე ზღაპარი –
აღადინის ლამპარი?

– მიამბე რამე მექაზე!
– ცხოვრება არ მღერის ერთ ხმაზე:
სჯობს, რომ დამიკრა ბახი,
– მაინც რა არის კრახი?
– არ მოიპარო სხვისი ოცნება –
ყველა ყვავილი მხოლოდ თავისით
კვირტში ცოცხლდება!

2013 წელი

გაცნობა

მართლა პატარაა სამყარო?
ტაღლები მინდა დავთვალო...
სამხრეთ სანაპირო,
მთები თოვლიანი,
ჯაზი უნაპირო –
ახალი ორლეანი.

მომხიბლა სიზმრების გამამ –
ვალსზე გამიწვია მამამ.

2013 წელი

ჩვენში ასეა

ერთი მითხარი, რა ხდება ცაზე?
მღერის ვარსკვლავი
მღუმარების იღუმალ ხმაზე?
არ უნდა ჩამოსვლა პირს?
ნეტავი ეტრფის ვის...

(აქ) ყვება თავთავი
მიწაზე, სახლზე...
რას იტყვის ნეტავ
ომზე და ქალზე?

პატარას ღიმილი – სასოება,
არის კაცთა შორის სათნოება?(!)

2012 წელი

სეტყვა

მოდი! გიამბობ გარდასულ ამბებს,
რატომ კლავს იცი კაენი აბელს?
პირველი ვნება რატომღაც გვაბნევს,
ჰო, ვერ დაფარავ მოშურნე თვალებს.

და ასე ვცხოვრობთ ასულნი, ძენი,
„საჭურველად გარემომადგეს მე
ჭეშმარიტებაი შენი“...

რაღაც მინდოდა მეთქვა –
გუშინ მოსულა სეტყვა.

2012 წელი

იუნკრული

ძველი ფოლიანტებით
ცხრება კორიანტელი?
ყველგან მოჩანს ყაყაჩო,
სევდამ ლამის დამახრჩო:
გარდასული ქარები,
ამოთხრილი სევდა,
ნადვლიანი კაცები,
წვალობს ქართლის დედა.

2012 წელი

ძველი ფურცელი (კატორღა)

რა მენატრება?
ფიჭვის სურნელი,
აღბათ, აყვავდა
ტყეში კუნელი.
უცხო ტრამალები, რეპრესია,
თურმე სიყვარული რეგრესია
და წუხს შეფეთქილი ეკლესია.

სუნი აწუხებს ნამდვილად კირის,
ვაზი ხომ მართლა ჩუმ-ჩუმად ტირის.

2012 წელი

კაბადოკიისკენ

(ფრესკა „შენ ხარ ვენახი“)

თანამგზავრებს

- ამ ტბას გადაგყავარ ჭკუიდან,
- ღვინოს აქაც სვამდნენ ჭურიდან?
- დაგკარგეთ ფერები?
რა თქვი?
- მთებმა გამახსენა კასპი.

- იცანი ტაძარი?
- სარკმელით?
აღარ იკურნება საკმევლით,
გუმბათზე არ მოჩანს ჯგარი,
მიმყვება სევდა და ჯავრი.

- ღვთისმშობელს მაინც ყრმა გულთან უზის,
რა უყო, ნეტავ, მტევანი ყურძნის?

2012 წელი

გლობალიზაცია?

მტკივა თმის ძირები,
ოფლში ვიძირები,
მკლავს თავის ტკივილი
და ქარის კივილი.
მომეცი „კოლა“!
რას ყვება მოლა?
მოგიყვან ცოლად,
ექსტაზიც მოვა.
მთავარია, რომ
ტკბილად გეძინოს,
რომ გიღიღინო
„გელინოს, გელინოს...“

2012 წელი

ჭრელია წუთისოფელი

ჯინსისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ჯინსდება...
მე რა ხანია მოგელი,
იქ, სადაც ია იზრდება.

ცაზე ამოდის ვარსკვლავი,
უფრო და უფრო ბინდდება
და მიწის ბელტი სახნავი
ადამის სახედ ფითრდება.

ჰანგებს მოისმენ წკრიალას,
ერთ წამში აგერის იარაღს...

2012 წელი

(სად მიდიხარ, „სხვაგან“?)

კენჭები ცხოვრობენ ზღვაში,
ღრუბლები ცურავენ ცაში
და როცა იყო მთა-შინ
მე დავიბადე მაშინ.
შიმშილი, სანთელი, ტყვია,
მინდორში იცინის ია,
ტკივილი, მზის სხივი, ვაზი,
თეატრი, კინო და გაზი,
თან შურით სავსე თასი,
იმატებს ყველაფრის ფასი?!

ჩვეულებრივი საგა,
უკვე მივდივარ სხვაგან?

2012 წელი

„შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!“

(სიამოვნებით ვიტყოდით, - თქვა ბრმა ფაუსტმა)

რამდენი რითმაა ქვეყნად
ფურცლები იქცევა ფერფლად,
ტკივილი დარჩება კენჭად
და მაინც წამომცდა ლექსად:
თაფლი დაიდვარა სანთლად,
სიყვარულს დავეძებ წამლად.

იქნებ დროში შედგა წამი,
მოდას ვერ გავართვი თავი?

2012 წელი

ძველი ამბავი

ომსა და ტკივილზე
ყვება მაგნოლია...
ზღვამ რომ დამივიწყა,
რალაც არ მგონია.
სიკვდილს გამიქარწყლებს
ღურჯი ჰარმონია,
ცის ნაპირამდე ხომ
ერთი ნახტომია.

2012 წელი

ოცნება მთვარეზე

„მუმლი მუნასა“ და „მრავალჟამიერ“—
სისხლი აიჭრება,
იმოგზაურებ იმიერ-ამიერ —
სიტყვა აიხსნება.

მთვარეზე გაფრენა აღარ დაგჭირდება,
უბრალოდ გახდები ღალი და გუღალი,
ყალყზე აენტება სიკვდილის უღაყი.

თეთრს ისევ აგროვებ
ბავშვური ყულაბით?

2012 წელი

ვინ ხარ?

ჩვეულებრივი სასწაული:
ბგერა თვალისთვის არ ნახული,
ციდან ჩამოდვრილი შუქი,
ზღვიდან მონაბერი ლურჯი.

შემომხვდა ძირძველი ღაზი –
აიხსნა მარტივი აზრი:
„მე ვარ ვენახი
და მე ვარ ვაზი!“

2012 წელი

ჩვენებური ქული

თუ იცი რა არის სევდა? –
ღრუბელი ნაქარგი შუქით

და იცი რა არის სეტყვა? –
მიწაზე სკდებიან შურით.

ნეტავი რა არის ცეკვა –
გრძნობის ჩანჩქერი უტყვი.

თუ იცი, რა არის ვნება?
ცხოვრება, ქიცინი კულით.

–და მშობლიური ბგერა?
–იცი, გიცანი ქულით.

2012 წელი

ზღაპარი სამშობლოზე

(ჭირი შორს და
ლხინი ახლოს,
ფქვილს მომცემ
თუ მხოლოდ ქატოს?)

ჰო, მეორდება თურმე ზღაპარი
და რთვა მოვა ისევ ზამთარი,
კვლავ გაგიჩნდება ვნება, მიზანი,
მაგრამ წუნარ, რომ ვერ შემიცანი.

(შორიდან მიმზერს ავი სიცივე,
შენთვის რამდენიც გინდა, იცინე!)

გახსოვს დედოფალი მარიაში?
ვიცი განშორების წამი არის,
უმთვარო ღამე ქარიანი,
კაცი პატარა-ბრაზიანი...

(უსუსურია ქალის მცდელობა,
ნუთუ მართლდება ზოგჯერ მკვლელობა?)

2012 წელი

გახსოვს «მერანი» ?

ბევრ სიმღერაში
თოვს და თოვს
და რამდენ ლექსში
მიღიხარ შორს.
ვინ არის პოეტი?
ვინ კიდევ მეძავი?..
შენ ისე შორსა ხარ
ვეღარც კი მეძახი.
იპოვი სასახლეს,
ან ახალ ქოხს,
ხან მზეა, ხან წვიმს
და ხან ისევ თოვს.
ეს აღბათ ბედია,
აშუქებს მედია:
დაიპყრობს მთას,
ვერ ვაწვდენთ ხმას!

და მაინც იხილავ იმავე ჩვენებას,
რადგან „სამზღვარი“ არ აქვს ჭენებას!

2012 წელი

ბილიკი

(მარიაშს)

ამ ქვეყნად რა არის ყველაზე დიდი?
რა ვიცი, ალბათ, გული,
და იცი რა არის ყველაზე რთული?
სიკედელი, გასვლა სრული.

ნუ მიენდობი –
თვალი წვდება მხოლოდ ჰორიზონტს,
ნუ მიეყრდნობი –
ქარი მხოლოდ მტვერზე მოგითხრობს
და გაიხსენე მწვანე სინორჩე,
როცა ცხადდება კვირტში სიცოცხლე.

იარე გზაზე, იარე წინ!
ის უსათუოდ მიგიყვანს შინ...

2012 წელი

ბრუნავს და ბრუნავს...

ოჰ, რას გაუგებ ლოგოსს,
სიო შეარხევს ფოთოლს,
ბიჭი გახედავს გოგოს,
საწმისით ვეძებ ოქროს...

ნისლი დაფარავს ჭოროხს
და ისევ ავა ცაღ,
როცა ვიქცევი მტვრად
გამფანტე ოქროს-ფრად!

2012 წელი

მიყვებ დინებას?

„მზეო ამოდი, ამოდი“,
ნუ ეფარები გორას,
ღამე და გაუტანლობა
დედამიწაზე გორავს.
მტერი მომისწრებს მძინარეს,
„ხიდი არ უძევს მძინარეს“...
ვერ აფუყვები აღმართს,
ძალა ლელიანს კაფავს.

ნუ ეფარები გორას,
თორემ წაფუყვები ბორანს!

2012 წელი

არჩევანი

მცვივა ცრემლები:
თავისუფლებას ვერ შეველევი!
წავიდე სად? –
სხივი ბრუნდება მიწიდან ცაღ...

იქით ქარია,
აქეთ გაღია,
იცო რა ხდება ბოლოს ფინალში?
„სილაჟვარდე“ და „ვარდი“ – „სილაში“.

ვისი სული გსურს? –
სიყვარული წუნს.

2012 წელი

ჩვენ ძალადობა „ოდითგან მოგესდევს“? (ასეთია ცხოვრება)

ოთხშაბათს ერგო ღალატი, ფურთხი;
ცალყბად იცინის ხუთშაბათის ამბორი უტყვი,
სუფრასთან ჩნდება მისტერია
გულზე ნუგეში მიჰფენია;
პარასკევს დაცინვა, გვირგვინი ეკლის,
ჭეშმარიტებას სიტყვა არ ეთქმის.

გავლა სირცხვილის ბილიკზე,
პასუხი ქალთა ტირილზე,
საოცარია—
ჟამია ფიქრის:
ვდარდობ —
გამცემი, ნეტავ, სად მიდის?

2012 წელი

„რა ხდება (და რატომ ხდება)“?

თურმე მოწყდა კომეტები,
ციდან ცვივა მონეტები,
შეჩოქოლდა უცბად ხალხი,
მიწას გადაეკრა თალხი.

ისევ ვიყურები ცაში,
თუ რა ირეკლება წყალში,
ნეტავ ციდან მართლა წვიმდა?—
საიდუმლოს ცოდნა მინდა.

2012 წელი

მაინც რა არის მშვენიერება

წუხდა პოეტი
ახალგაზრდა, თანაც ამაყი,
მე ვიმეორებ –
გათელილი ველის ბაღახი:

„ნეტავ არ მქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ღამაზი“!
შენი ხმა მესმის, თითქოს თავს გესხმის
ჯაღალედინი და შაჰ-თამაზი!

ვიღაც მეძახის: ჩემთან წამოდი!
კვლავ იღანდება ძალა, უფლება
და სიყვარული როგორც „კანონი“
იფურცლება და ისე უქმდება.

მაინც სად ქრება შენი მშვენიერება?
ყვავილებს ვკარგავ, რა მეშველება ...

2012 წელი

სიყვარული ჩვენთვისაა?

ყვავილების ფერი
ზღაპარია ვრცელი;
ცვარი – ღრუბლის სუნთქვა:
მზეს სიმღერა უთქვამს.
ნიჟარების ქარგა
ნახატია ზღვის,
სიტყვის რთული ასხმა
მოუქსოვე ვის?

2012 წელი

ხელის და ყურძნის მტევანი

მგონი ისევ გამიხსენეს
ჭრილობებმა, წყლულებმა,
ვდგავარ ხელებჩამოყრილი,
წყარო მეჩურჩულება –
რამდენჯერ ხარ გამოცდილი
სიყვარულში, ღალატში,
ვაზი, სარზე ატოტილი
ვერ იხარებს ტალახში!
ფესვს ამაგრებს მიწის ძალა,
მზის ნამქერთან თამაში.
თითებიდან წვეთავს ქარვა,
მალა მოდის ჭამაში?

2012 წელი

142-ე

(...რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი)

მოდის, მიმღერე ძველი სიმღერა –
მზის სხივით ბინდი ნაზად იღევა,
როგორ მისდევდი კვალში ჯვაროსანს,
ან როგორ წერდი „ვეფხისტყაოსანს“.

აქ მიწას კაწრავს ეჭვი ფარული –
როგორ იხსნება ერთი ფსალმუნი:
იქნებ მაუწყო უფალო გზა,
რომელსაც თურმე მართლა ვიდოდით,
როგორ გაიპო უდაბნოს ზღვა,
რას ატარებდნენ, ნეტავ, კიდობნით?

2012 წელი

მცეკვაუთ და მცეკვაუთ

იცი რა არის მაღლი წყალობის?
თუკი მიხვდები, რომ მოგეცა პური არსობის,
თუ შეიგრძენი საიდუმლო ძველი გალობის
და გაიხსენე მნიშვნელობა კაი-კაცობის.

იცი რა არის აკრძალული ხილის ნაყოფი?
ზოგისთვის ვაშლი, ზოგისთვის მანგო
და რა მივიღეთ მისი გაყოფით?—
თავბრუდამხვევი, შეცდომებით ნასწავლი ტანგო.

(P.S. – ეს მელოდია შენც ხომ გეცნობა,
მაინც რა არის ნეტა შეცდომა?)

—საცერში წყალი არ იბინდება?
მაინც რა არის ჭეშმარიტება?)

2012 წელი

ხეტიალი

დადიოდა კაცი გზებზე:
ხან წყლებზე და ხანაც მთებზე.
ერთხელ მითხრა უცხო სიტყვა
ყვავილების ფერთა მტვერზე:

დამიტოვა ერთი ციციქნა
მოსაფრქვევად, სახსოვრად.
ზოგი თვლიდა მათხოვრად,
ზოგს მიაჩნდა მაცხოვრად.

2012 წელი

ახალი წელი

შემოდგომა წუხსო,
გაზაფხულზე ქუხსო,
ზაფხული ხომ ცხელია,
ზამთარში კი ძნელია.

ნაძვის ხეს შეხედე!
ფერები ჭრელია.
გილოცავ ძვირფასო,
ახალი წელია!

2012 წელი

რომელიმე (... იზმი)

ეს ფილოსოფია
ნამდვილად მეცნობა,
ნუთუ მართალია
კაცის სოცმხეცობა?

ცხოვრება საცეცით
მუდამ წინ მიიწევს,
ამიტომ ვერ ხედავ
ელვარე იისფერს.

რას ფიქრობს ნეტავ ყარბი, ბერი:
როგორ იცვლება უდაბნოს ფერი?

2012 წელი

პოლიტიკა

იცი? ჩემში ფეხი სევდამ მოიკიდა:
ჰო, დასაბამიდან იყო პოლიტიკა!
არ მინდა, ძვირფასო, ისევ გაგაჯავრო,
მაგრამ მე მბრალდება პილატეს სამსჯავრო.

იცი? როდის შედგა პირველი პროცესი?
როცა მე ნაყოფი უჩუმრად მოგეცი!
მას მერე გაგიჩნდა დიდების პათოსი,
მაგრამ მე მიყვარდი პოეტი-სალოსი.

2012 წელი

ნათლისღება

ნუთუ მართლა იცი
რა არის კარგი?
წყალზე ხმა გაისმა –
„შენზეა მაღლი!“
გავრცელდა მიწაზე
ღრუბლების ნაფიქრი
და შურის ჯინაზე
აიგო გრაფიკი:
წყაროდ დაიდგარა პირველი სიტყვა,
რამდენი ჭორი ტკივილად ითქვა,
ოთხი სამსჯავალი და ტანჯვა მინავლული
აი, რა ყოფილა თურმე სიყვარული!

2011 წელი

როგორც შექსპირი

მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ –
ეს იყო ყოველთვის წინათქმა.
გათენდა, დაღამდა, ინათა,
შექსპირად იქეცი კინაღამ.

ისუნთქე! ზაფხულის დამეა,
სიზმარი ქორფა და მწვანეა,
ამქვეყნად რამდენი რამეა
და მაინც იგივე მთვარეა!

ღრუბელი მისტირის მზეს,
გინდა? აგუჩქაროთ ფეხს!

2011 წელი

მე ვარ სამშობლო

ვიცი, მრუშობას ეწევი,
ვერ მოგიძღვენი შედეგრი,
თბილ ქვიშას ურცხვად დალოშნის
სველი თოვლი და მეწყერი.

ძალა სინაზეს ამოშლის –
მედეა შვილს ყელს გამოსჭრის,
ზღვის სუნთქვას ვისმენ ფარულად,
ტკივილებს ვითმენ ქალურად.

2011 წელი

ნიაგო!

„– წამოდი! ერთად ვიაროთ!
ქვეყანა შემოვიაროთ!“
ნისლი აწყდება ცას –
სევდა სიყვარულს ჰგავს?
ნეტავ ჩურჩულებ რას –
სიცოცხლე სიკვდილს კლავს?
ყვავილს უკოცნი მთას,
ქართან დაკარგავ თავს.

იქნება მითხრა ნიაგო,
რამდენი უნდა ვიარო?

2011 წელი

მეხსიერება (9 აპრილი)

ასეა, მე ვარ მხოლოდ მსახური!
მომწონს – გიტაცებს ხიბლი ქალური.
მე არ ვარ მეფე,
მაგრამ მომავალს გიამბობ, მენდე!
– თუმცა ბობოქრობს დროის ხანძარი,
ისევ დარჩება ძველი ტაძარი!
ჰო, მე ვარ აწმყო –
ადექი, წამო!
მე ვარ წარსული –
ხასად ითხოვეს მეფის ასული,
ვერ შემომხსენი წელზე ქამარი,
იცი, ჩემშია მეფე თამარი!

2011 წელი

ერთი ოთხშაბათის წვიმა

თავზე მესხმევა წვიმა ტალახის,
ვერ გადავზომე სიგრძე დაღატის –
განბნევა ვერცხლის
გოდებად მესმის,
ცრემლის ჩურჩულად
ჩუმად გადაჭრა თოკის და ფესვის.
ვერ მოვიშორე შიში, სიშიშველე,
ხმალიც ვიშიშველე,
სანამ იყივლებს თურმე მამალი
მე ვარ ევა და მე ვარ ადამი.

2011 წელი

ძველი სიმღერა

(ტერენტი გრანელის მოტივზე)

გაკვირტების ჩურჩულია ნაზი,
რქას აიყრის აყვავდება ვაზი,
გაზაფხული ციდან ფერთხავს ყვავილს,
ამ სადგურზე ჩამოვედი გავლით.
ენაცვლება ხვალ და ღღეს და გუშინ,
ისევ ყვარობს პირიმზისას თუში?

(„გაზაფხულდა აყვავილდა ნუში“,
ისევ უნდათ, ჩაგვაფურთხონ სულში?)

2011 წელი

ჩვენ, ადამიანები

გამოგვიღის მოცდა,
ლოყაზე კოცნა,
ეს უკვე იყო –
ცნობილი ტილო,
ღრამა, თეატრი
და მერე კინო.
შუქჩრდილი მეხის,
დაბანა ფეხის.
კამათის აღმური,
ფიქრი, ისტერია,
აი, სიყვარული –
ძველი მისტერია.

2011 წელი

ცისარტყელა (მარიკოს)

შენ გგონია ზღაპარი
აღარ არის მართალი?
მზე კვლავ მისდევს მთვარეს,
რას გაუგებ ქალებს.

ჟამი ითვლის დროს,
თვალი მირბის შორს,
ცისარტყელას ხიდი,
გაიარე, მიდი!

2011 წელი

ნუღარ დამიშლი

(მთის მოტივებზე)

ვერცხლის თასადმცა მაქცია,
ვერ შემაკრთობდა მაქცია,
ვაზის გულისთქმას გეტყოდი,
იგრძნობდი ქარს რომ ვეტრფოდი,
შუქს გაჩუქებდი მთვარისას
სევდას იგრძნობდი ქალისას.

2011 წელი

მომაკვლავი მზე

(ისევ ვკითხულობთ ჩვენ გალაკტიონს)

როგორც ყოველთვის მამშვიდებს დილა –
მზის სიკვდილამდე კიდევ ბევრი განთიადია,
სწორ მისამართზე ვარსკვლავი მივა,
იქ ხომ ის ცეცხლი ისევ ანთია!
და კვლავ ვკითხულობთ,
რომ მიიცვლება ტანჯვა-წვალებით,
მზე უნდა მოკვდეს „ღია თვალებით“
მაშინ სიმღერა დაყრუვდება, ალბათ, უმწეოდ –
გამიჭირდება, გამიჭირდება „ყოფნა უმზეოდ.“

2011 წელი

ისევ ცისარტყელები

(აქაურებს, იქაურებს და ბავშვებს)

მოდის წვიმა, მოდის თოვლი,
ზღურბლს გადახვალ, ალბათ, მოვლით.
იქ ხომ მუდამ ანთია პაწაწინა ვარსკვლავი,
საიდუმლოს გაგიმხელს სუნი ოქროს თავთავის.

ნუთუ მართლა არ იცი
ცის ნაპირი სად არის?
ეძებ ხელის ცეცებით...
ცისარტყელას ფერებით
შეიგრძენი ნუგეში –
გააბოტე გუბეში!

ფერადია ძვირფასო
უხილავი ძაფები
თუ გაწყდება განასკვავ,
არ კვდებიან ბავშვები!

2011 წელი

დედას

(ზოგადად და კერძოდ)

ვდგავარ შიშველი,
ხელებაწვედილი
და იფანტება ჩემი ნაწილი.

ვიცი, მდარეა რითმა,
აღბათ, უსიტყვოდ ითქვა,
როგორ იტირა ფიქრმა,
როცა ადამი იშვა.

ღრუბელშიც ანათებს მზე,
გამარჯობა დე!

2011 წელი

იყო შაშვი მგალობელი

(ჩვენთვის, ხილის მოყვარულთათვის)

ცრემლები თურმე იყო და არა.
—მიყვარხარ უფალო, კი აბა არა?!
მაგრამ ენაზე გადგას ადამი,
როცა გინდება ვაშლი და ატამი.
ღიმილი გაკრთობს —
და სინანული იქნებ არც არის?
მართლა ტანჯვაა ნუთუ წამალი?
მიწის კონტურებს აქრობს ზღვის ტალღა
და შაშვი გალობს, რაც ხდება მაღლა!

2010 წელი

ჩვენი ზღვა

ნიჟარების წვიმა!
ჯოჯოხეთში ცივა?
ჰორიზონტის ბინა –
ზღვა ნაპირთან მივა!

ტკივილების ფერფლი
ამბავია კენჭის,
მისტიკური ცეცხლი –
მზე სიყვარულს მესვრის!

2010 წელი

სიყვარული აქა-იქ

(ჩვენთვის)

აქაც და იქაც აფეთქდა ნუში,
არ ღირს ტკივილად ოცნება ფუჭი!
შეხედნენ ერთმანეთს ინი-იანი?
თუ მარტო დადის ადამ-იანი?

ჩამოიფერფლა ყვავილი ატმის –
„მატარებელი ხუთ წუთში გადის!“
საკმარისია ჩუმი ქილიკი!
შემოგეფეთა ისევ ლილიტი?!

მიემგზავრები და ყოფა მიქრის,
მზის სხივის წვეთი გედვრება თითქმის
და არ იშლება მუდმივი თემა –
ნაზად გეხვევა ცხოვრება – ევა!

2010 წელი

ნისლის ტრაგედია

(პოლონელებს)

– ერთი, ორი, სამი, ოთხი –
უსათუოდ პირში მოგთხრი!
ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა –
ნისლით დაიფარა ცა.

მუდამ გამოჩნდება ბრძენი –
განახლდება ტროას ცხენი!

გადაშლის ფურცელს გმირი ჰექტორი,
ისევ მოძრაობს ომის ვექტორი.

2010 წელი

ერთი ამბავი

(?)

ჩამოქნეს სახნავი ბელტი,
არ უნდა იყოსო კენტი,
ანესთეზია, ნეკნი,
მას მერე მიწას ეტრფი.

შენ მოიპარე ლექსი –
გახმა ნაყოფი, თესლი.
აღარ გჭირდება ჩაცმა,
დღესვე იწყება ჯვარცმა!

2010 წელი

საღაღობოდ

მოთენთილობა

(მეგობრებს)

- ისწავლი ინგლისურს?
- შენ ვისი სული გსურს?
- გიმღერებ თბილისურს,
მოგიხსნის „ცინიკურს“!

„არ ჩაება კამათში!“ –
ჩიტი გალობს ყანაში.

- აღარ მინდა თამაში!
- ისევ ცხვება ლავაში?

2010 წელი

ისევ ჩვენ და ისევ ჩვენ

ამომივიდა კოპი,
მომიკვდა ნამდვილი ტროპი –
ადმაშენებელი დავით!
კარიბჭეს ვლევწავ თავით.

– სამშობლოს ვაძლევ მტერს,
ვინ გადამიხდის მეეტს?

– წამნი და წუთნი მღუმარებისანი,
ჰო, „გალობანი სინანულისანი“!

2010 წელი

რა ვიცი

მშვენიერია პარიზში, რომში!
უჩუმრად იბრძვი ცხოვრების ომში.
მანც ერთ ადგილას იცდი,
იქნებ წაფუცკევოთ ტვისტი?

თვალებში ჩაგიდგა ლიბრი –
მიხტის მთის ბილიკზე ფიქრი,
მაგრამ ძნელია ჯვარის ატანა,
როცა ფაქიზად გკოცნის ...

2010 წელი

გაზაფხული

ჩამომიტანე მზის სხივი ციდან –
ხომ იცი ზამთარში ყოველთვის მცივა.

ზაფხულში მიპოვნე ზღვის ქაფის ფარდა –
გამართობს მისი ფაქიზი კაბა.

შემოდგომაზე მომიქარგე ფოთლები წვიმით –
ოქროს ბილიკით ღრუბლებზე ვივლით!

- და გაზაფხული?
- ბრუნავს წარსული.
- სევდა? ფარული,
არის მიწაში ბევრი ქალური!

2010 წელი

არ ვიცი

(ნანას და მერაბს)

- წავიდეთ კინოში?
 - შენც იცი მილში?
 - ფორმანი? სიგიჟე ცოცხალი!
- მინდორში წითელი მოცხარი.
ხუნდება ოცნება,
ტრიალებს ცხოვრება.

ჭამა, ძილი და სექსი,
შორიდან ქვითინებს ლექსი!

2010 წელი

პოდიუმი

რთულია, იცოდე ქალმა
პოდიუმზე ამაყად გავლა,
გამჭოლი მზერის სწავლა,
ბიკინთან ერთად ჩალმა!
წუხილი გამხმარი ფოთლის,
ნაოჭი ტკივილის, ოფლის,
ვაგონში მოხუცი მოდის
კდემა თუ დაკარგა! როდის?
– ცოტა დამეხმარე შვილო!
მეტროში გადის კინო,
გიტარა თავისთვის მღერის,
იჩქარე! არ გასცდე „დელისს“.

2010 წელი

სიყვარული მოყოლით

- იცი ვაზის მტევნის ამბავი?
- საყვარელო, აქ ვენახი არ არის!
- მომიყევი, როგორ გაჩნდა ცის ნამი?
- დაგესიზმრა უცნაური სიზმარი!
- სუნთქავს ისევ საიდუმლო ჭურჭელი?
- ამოხიე გაცვეთილი ფურცელი!
- შინ ბრუნდება ნეტავ შვილი უძღები?
- რა დროსია, საქმეს მარტოც ვუძღვები!
- იქნებ სადმე დაგრჩა სილაღე?
- ჩააქრე! რად გინდა სინათლე?!

2010 წელი

მიძღვნა

(ანას გარდაცვალება)

სიტყვა

თქვი ჭიამაია,
თუ წვიმა ქალია? –
ფიქრების ნისლი ავიდა ცად!
იქ, ალბათ, კარია,
მზის სხივი ქნარია,
თუ ისიც ქალია?
თქვი ჭიამაია,
თუ სიტყვა არ ღირს უბრალო თქმად?

(14.03.) 2008 წელი

ქროლევა

(შერეკილებს)

– ნუთუ მართლა გინდა აფრინდე?
მე მხოლოდ ფრანი მაქვს, აიდე!

სიმაღლე უდრის

– განხენდება? „ტრფიალების უსასრულობა“.
ვიცი, შენც გიყვარს ხეტიალი, უსაქმურობა.
და სიგრძე იცი, გამოკვეთა თურმე „ზესწრაფვამ“
– გაგიგე, თურმე ანთებული გულით ვეღარ სვამ.

სიგანე უტოლდება „დაუფიწყარ მოგონებას“,
სიბერეც იცი? – უსათუოდ მოგორდება!
ახლა ყველა საკუთარი თავისთვის ქმნის პოეზიას,
– ნეტა ვინ კითხულობს? კვდება ოფელია?

– მე მგონი კლავენ! ნეტა რომელია?
ღრღის ნაკუწები ისე მომერია...

– ქუჩა შეგეშალათ!

იმ მუზეუმშია ძველი კოლექცია:

(„გნებათაღელვის თეორია“, უწონობა და პოეზია).
P. S.

– და „შინაგანი სიმხურვალე“?

არ ვიცი, მე მინახავს მხოლოდ მოხტუნავე.

2005 წელი

ისევ ომი

(2)

ანათებს მზე
და იწვის ტყე!
– ეს არის ლექსი?
– ტყვიას ნუ მესვრი!
გათელე ია?!
ნუთუ შენც გშია?
– როგორ ხარ მტერთან?
დაწვები ჩემთან?
– და მართლა მტერია? –
ნადმების მტვერია!
სიკვდილის ველია!

„დელია, დელია,
ცხოვრება ჭრელია!“

ისევ ვგიჟდებით –
სანთლად ვინთებით.

2008 წელი

გორაკი და მთა (ძველ მეგობრებს)

ხელს როცა დამადებ თავზე,
არ მინდა იფიქრო ქალზე:
ჩემი თმა გიამბობს ამბავს,
რომელიც არაფერს არ ჰგავს,

თან გაგახსენებს ტაღლას,
რომელიც ნიჟარას ქარგავს...
სხივები სრიალებს წყალზე,
სულ სხვაა სიჩუმე მთაზე!

2008 წელი

უსიტყვოდ

(ბავშვებს)

პირველი ანით, თუ დაიწყო ლექსით,
რომ ჩვენნაირებს ტაღლას,
ზოგჯერ ყვავილებს ვესვრით.
სიტყვას კი თურმე ყველაფერი
უსიტყვოდ ესმის.
სუნთქვის, სიბნელის, მინავლული ცეცხლის.
– გესმის? ორკესტრი უკრავს სიჩუმის უმაღლეს ხმაზე,
ოღონდ ახედე! – ლაჟვარდისფერი გელფრება თავზე.
– რაღა დავწერო, ვერც კი ვჩურჩულებ,
მღუმარებაში ჩერდება წამი!
აკი ვისწავლეთ, რასაც ვხედავთ ჰქვია გარემო,
მაგრამ მე რაღაც ამემღვრა თვალი.
(– კატარაქტა გაქვს?
– არა, რას ამბობ! –
სიყვარულით მომდის ცრემლები,
გგონია ვხუმრობ?)
ცხადად ნანახი სიზმრის ფერები –
კავკასიონის თეთრი ქედები!
არა, არასდროს არ დავბერდები!

2005 წელი

პირველი სიტყვა

თუნდ დანაწევრდეს მთელი სხეული
და შემომიჩნდეს ეშმა, გრძნეული,
გაიყინება ძარღვებში სისხლი,
იქნებ დაგმუნჯდე და მაინც ვიტყვი –

ისევ აშენებს კიდობანს ნოე –
ჩუმად გაისმის ანი და ჰოე!..

2004 წელი

ვარდისფერია სოფელი?

კი, გაოცება ძაღვიძს სიზმრებით –
იქ იბადება ძველი რითმები...
იქნება მითხრა,
რომ პოეზიის უჩინარი გამოსავს მანტია?
ნეტავ ამაში ბევრი რა ყრია?–
ხშირად ნათქვამი გაისმის კითხვა,
გაიქროლებენ სულის ნისლეები,
ნაცნობ ბგერაზე წყდება რითმები
(და ყველაფერი...)

თუმცა ცას ისევ ჩვეულებრივად
ხვალ შეერევა იღუმალის ლაჟვარდისფერი.

2003 წელი

მამლის ყივილი

გამთენიისას ახმიანდნენ წვეთები წვიმის,
შენ კვლავ მიჰყვები გოლგოთის ტკივილს,
ფურცელზე რჩება პაწაწინა ნაგლეჯი ფიქრის,
ჩუმად დავებებ შენკენ მომავალ უჩინარ ბილიკს...

და თავს ვარიდებ გამკინავ ქილიკს –
გადახვალ როგორ დალატის ზღურბლზე?
მამლის ყივილის თენდება წამი
და მეც შენს ტანჯვას შორიდან ვუმზერ.

ხელფეხშეკრულის ტკივილი მკაწრავს,
ასე უსიტყვოდ მიფეხები ჯვარცმას,
შენ გვერდით მართლა არავინ არ ჩანს?
გავგიჟდე ლამის – მდუმარებით დახრილი თავი,
სიყვარულშიც კი მარტოობის ჩამოკრავს ჟამი!

2003 წელი

წინათგრძნობა

(25 თებერვალი)

მე შენ გაჩუქე იის სინაზე
და სინარულის ლურჯი ფურცლები,
არ გავიცინებ სხვების ჯინაზე,
დაცარიელდა ჩემთვის ქუჩები.

ეს დრო გაჩერდა ნუთუ სივრცეში?–
ზანტად ეშვება ფინალის ფარდა,
მე ჩამოვჯექი რიგის კუთხეში –
შენ გაიფანტე და სცენაც გაქრა.

წლები მიფრინავს აღმა და დაღმა,
ფერი გახუნდა, სიმღერა გაქრა,
როგორ იხილოს სილურჯე კაცმა,
თუ სულს უკაწრავს ყოველდღე ჯვარცმა!

და ვიტანჯები პირველი სიტყვით,
როგორც ცა კრთება ფერმკრთალი ლიბრით.

2002 წელი

აქ, შორიანლოს

(გალაკტიონის იდუმალება)

მიმოდის წვიმა და სიყვარული,
ჩამოიდგენთა წვეთები ნისლით
და პოეზია შავთეთრი ფიქრით
ჩაიფერფლება, გაიფანტება
ატმის ყვავილის სუნთქვა ფარული,
მზარავს კივილი –
„ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!“
მაგრამ მაწვალებს ულაცის ფეთქვა,
ნუთუ წარსულშიც შენ ასე გერქვა?
ლურჯა ცხენებმა აიტაცეს ცისფერი ფერის გამჭირვალება,
შემოეხვია მიწის სუნთქვას „ისფერ თოვლის“ აელვარება
და კვლავ ჩამესმის ჩუმი გალობა
– სულმა იხაროს!
და მახსენდება, რომ „შორიანლოს“,
(აქ მცხეთაში)
„იდუმალი არხევს კიპაროსს“.

2002 წელი

ვარსკვლავთცვენა

აღბათ, სახელი ზეციდან მქვია,
მართლა ვიყავი მინდორში ია?
რომ მომენატრა ბალახი, ხვია,
ძველ ბილიკებზე ნეტავ რა ყრია?

აქ მოგონება მხოლოდ მანება
და სიყვარული ჩუმი ღამეა –
სადაც სილურჯის გამოქება ხდება უძირო,
მომწყდარ ვარსკვლავებს უსათუოდ უნდა გუმზირო!

დამესიზმრა თუ მართლა ასეა,
ამ ვარსკვლავებით ველი სავსეა!

მე დაგრჩებოდი იის ველზე ციციქნა წერტილი,
ოღონდ არ ვიყო მონატრებით გადატკეპნილი.
გავიფანტები და გავდნები იისფერ ფერად,
თუ არ ამომშლი, არ მიმიღებ შეცდომილ ბგერად,
და არ ვიდარდებ ვარსკვლავებზე მერე არაფერს,
(ხომ მიჩურჩულე –)

„ვითა ყვავილი ველისანი ისე აყვავდეს“.

2002 წელი

სიხარული

(ანაკოს და ყველა პატარას)

პაწაწინა ბუთქუნია ხელები –
ნუშის ფიფქით დაფარული ხეები,
მზითნაფერი თაფლისფერი თვალები –
მოკუნტრუშე ნუკრის სევდის ნამქერი,
მტრედისფერი გამჭვირვალე კისკისი –
მზის სხივებთან წყაროსთვალის ლიცლიცი,
წყლის წვეთივით მოკამკამე აზრები –
მოჭიკჭიკე ჩიტუნების ჰანგები,
ფიქრი, კითხვა ფანქრის მრუდე მონასში –
ცისარტყელა ჩემს სევდიან ოთახში.

2002 წელი

ქუჩაში, მტვერში ...

და სიზმრად იწვის სულის ფიქრები –
„ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი“...
ვერ დავეწვი, ვეღარ მივწვდები
სულის ნაკუწებს ბობოქარ ქარში...

დღეის პასუხი ღიმილად რჩება –
„წამოვაცუნებთ და მერე რაა“,
ანდამატებთან ლიცლიცი, ვნება
თავდავიწყების უპირო ზღვაა...

მე აღარ მინდა შენს კვართს და სამსჭვალს
წილი ვუყარო
მომეცი ძალა, რომ ჯვარს არ გაცვა
კვლავაც, უფალო.

2001 წელი

მედიტაცია

(ბავშვები)

ცაზე შემოდგა სილურჯე,
ვარსკვლავთა მძივი ამისხა,
იქვე გამოჩნდა სიჩუმე,
ყელზე საკინძე გამისხნა,
ხელი მომხვია, მივენდე
და ლამის გული გამისკდა –
ათინათი და მზის სხივი
თურმე ხელიდან გამისხლდა.

2001 წელი

ხილვა

(თიკოს, ნინუცას და ...)

რამდენ ხანს უნდა ვიცადო კიდევ,
რომ სიყვარულის ვიქცე ჰანგებად...
ჩამორეცხს წვიმა დანისლულ ცისფერს
და ყველაფერი ალაჟვარდდება,
დაკარგულ ლექსის უცხო სურნელი
დილის ნამივით მოივლის ღრუბელს,
ანგელოზების სუნთქვა ულავი
ააელვარებს მთრთოლვარე გულებს.
თლილი თითების იღვრება სითბო –
მზის სხივის ფარდა ეშვება თითქოს,
ყვავილთა მტვერი და სათნოება
შემომეფრქვევა ვარსკვლავთ ციალში
და წამი მიხმობს მარადისობის
გამთლიანებულ ღროის წიაღში.

2001 წელი

გახსენება

მთვარის შუქი ჩამოვიდა მიწად,
სარკე მომცა, თანაც რაღაც მითხრა.
დამავიწყდა, შემომავა ფიქრად,
თუ რა იყო ის პირველი სიტყვა?
ეს კი მახსოვს, ვიცი, ციდან იშვა!

2001 წელი

ვის, ნიცშეს? არა, კიერკეგორს

გადავა მთვარე,
ამოვა მზე,
რამდენი საქმე მაქვს
უთუოდ მე!
გადავა დღე,
და მოვა ღამე,
ნეტავ მთელი დღე
რა ვსვი,
რა ვჭამე?
დაითვლის უამი
წუთებს და წამს,
სადილად დღეისთვის
ნეტავ რა გვაქვს?
ვინ იცის,
ხის პირში

რალაცა დევს?
კალათით ვაგროვებ
ძლიერთა მტვერს.

გაგიჟდი?—
მიყვები
უბრალო მწყემსს?

2000 წელი



როგორც ამბობენ ფრანგები

ზოგი წაგატეხავს ფესვს –
შემოგაძარცვავს ლექსს.
რას იზამ: “ასეთია ცხოვრება”,
სულ გაანიავე ქონება?
(გკითხე საკუთარ თავს:
რას მეტყვი ამაზე კარგს?)
რად მინდა ტყუილად მედო,
რა შემეღანხა, კრედო?

2013 წელი

რამდენიმე ფრაგმენტი ძველი ფურცლებიდან:

ამას რა ქვია?

ატმის ყვავილი გაიკვირტა,
თუ სისხლით შეიღება ნუში?
წვიმა ტალახად ჩამოიქცა,
თუ ჩაგვაფურთხეს სულში?
იის ნიაღვარმა გადმოხეთქა,
თუ მიწა დაგვაყარეს გულზე?
ვნება ყალყზე შედგა, აიწყვიტა,
თუ სიყვარულს ყიდიან ფულზე?
ეს მართლა აღია, დაიწვა ტაძარი,
თუ ისმის დედის კივილი, გვემა?
ამორძალების შემოდგა ლაშქარი,
თუ ქალმა უბრალოდ დაკარგა კდემა?
ფრთა მოატეხეს გაფრენილ სულს,
თუ მხოლოდ კამარისთვის გაირინდა?
მოყვასი მართლა გეძულს,
თუ ...

– ატირდა დედა ღვთისა,
რატომ გაგიკვირდა?
(– არ გაგივიანა?)
–საქართველოს მადლი ჰგიებსო!
რატომ ვიღარდო? –
ისედაც ვიცი,
გვიხსნის იესო!

1992 წელი

ომზეა ეს ამბავი?

(1)

გადმოუხეთქავ ლავასავით
აფეთქდა ვნება,
შემოდგა ხვატი,
თითქოს ზეციდან ჩამოიქცა
ხორცის წამება,
ცეცხლი დაკვესა ნუკრის თვალებმა
და გაწყდა ძაფი...
ფაფარაყრილი უღაყივით
აფეთქდა ნება,
და შედგა წამი...

- და შენ გგონია,
შედრკნენ კენტავრნი?
- კი, აგალობდნენ
წმინდა დედანი:
კვლავ აკიაფდა ცეცხლი მაცხოვრანს...
- როგორ, არ ვაკრავთ ჯვარზე მაცხოვარს?

1990 წელი

როცა მიაბე:

ღამის სიღურჯე შემომეჭდო –
როგორც ზმანება,
ნაძვის ტოტები დამეფინა –
ტკბილი წამება...

მაგრამ შენ უცებ
სიყვარულით გარდა-იცვალე,
და მე ვიგრძენი
გაზაფხულით გავერანება...

იქნებ ეს არის ფერისცვალება?

1989 წელი

ზღაპარი სიკვდილზე

გაყინული თითებიდან
ჩამომეღვენთა სითბო,
სუნთქვა კრთება იებიდან –
სურნელი მინდა ვიგრძნო.

ახლა დავდივარ ხელის ცეცებით
და წარამარა მიწას ვეცემი...

სადღაც მივაკარგე ბროლის ქოში,
შემინახე უსასრულო დროში!

1989 წელი

შიში

სიცილი გრილი –
შადრევანის ფერებად ჩქეფა
და მზერა მწველი –
თეთრი ტალღა წამაქცეველი,
ლამის გამდნარი ცივი ფიქრები
და, მაინც, ისევ, მარტოობაში
გაყინული ჩუმი თითები,
ცრემლების ზღვაში ჩაძირული
თვალების სიღრმე
და მოლოდინის ნაცნობი სევდა –
ახლადა მივხვდი,
ნუთუ ეს შენ ხარ?
ქრება ლოდინი შორეულ სიზმრის
და შენით სული რა ტკბილად იწვის.
ტარება მიწის ძალიან მიჭირს,
მღევნის კივილი აბელის სისხლის,
არა და შავეთიც მაშინებს უწყალო,
იქაც მომხვიე ხელები, უფალო!

1989 წელი

გულმაგიწყობა ცუდია

გამებნა სადღაც ჩემი სხეული,
თურმე ნუ იტყვი –
დამკარგვია ძველი რვეული!
ახლა კი ვეძებ ჩემს პირველ საწყისს,
გზაარეული...

- კვლავ დაამწყვდიეს ქალი ქაჯეთში?
- ნეტავ რა ხდება ტაო-კლარჯეთში?

1989 წელი

რა არის ტაძარი?

მომწყდარ სხეულზე
მეფობს მხოლოდ
მთვარის სიცილი.
მომეტმასნება ბნელი ღამე –
ავი ტკივილი
და მასხენდება
მორღვეული ეკლესიის
ჩუმი კივილი.

1988 წელი

მერე რა, რომ ქარია

ვერ დაგიხატე: ყაყაჩოს ველი,
რა მენატრება...

არ მინდა ძვირფასო გიგულო მტრად
და მოლოდინით გაფუღებ კარს,
მარტოობისგან გატანჯულ ქარს,
ერთხელ მაინც ხომ წამიყვანს ცაღ!

და თუნდაც მერე გამიშვას ხელი,
რა მენადვლება...

1988 წელი

რუხი ფერადოვნება

(პასუხი)

რატომ ხარხარებს უწყალოდ ქარი?
ნუთუ დასცინის ტალახის მოდგმას?
ყვიის მამალი, იხურება-იღება კარი,
გადავეჩვიეთ ექსტაზსა და ხმამაღალ მოთქმას.

სცივათ სხეულებს, ნაფლეთ-ნაფლეთ ჰკიდიათ ხორცი,
ფრჩხილებით ქარი სულებს აშიშვლებს,
გულში ჩადგმული მილებიდან ამოდის ორთქლი
და გულგრილობით ზეცას აკვირვებს.
რას მოუხერხებ საწვიმარ მილებს –
ჩურჩულთ წვეთავს სიცარიელე,
ფერს ვერ შეურევ შავ-თეთრსა და დაბზარულ ფიქრებს
რამდენიც გინდა „ინესტანე“, „იტარიელე“.

1987 წელი

თურმე მზე პირს იბანდა

წვიმა ჩამოვალ მიწაზე ფეხად,
კარდაკარ ივლისო თოლიგე,
ფიცვერცხლს შეჭამსო ჭაბუკი მზესთან,
შენ შეგიყვარებსო ორივე –
ასე დამლოცა მთაში ერთმა ქალმა –
საწოლად მარუქა ზაფხულის ჭალა,
თანაც მიმღერა ბავშვივით ნანა,
ცის გახსნა ვიხილე გვირილით მთვრალმა.
და, მერე წვიმა მართლაც ჩამოვიდა,
გამოიარა იმ მთების გზები,
მაგრამ ჩემთან დარჩა, რაღა გამოვიდა?

აღარც მე მათხოვა ფრთები.
სულ მალე, ბინდისას, ჭაბუკიც გამოჩნდა,
მომართვა ვენერას თასი,
მაგრამ შეკითხვაზე: მზეს ხომ არ ჩამოჩნა?
გაბრაზდა, გაოცდა:
ვერაფერს გაგიგებსო კაცი.

1987 წელი

იცი ფერების ცნობა?

გაჟღენთილია ქუჩის სუნით,
ქუჩის ხმაურით,
შეგვედრება მოწყალებას
ხელის ფათურით
ჩამოიდვრება სევდა ფარული,
თან გაგაგიჟებს ზოგიერთის
სიამაყე ბატონკაცური.
საოცარია:
დარბაისლურად ძრომიანი
ყველა სოროში
და ხელგაწვდილი ჩამოჯდომა
ქუჩის ბოლოში.

1986 წელი

ბილიკები

თვითონ მიჰქონდა
გოლგოთაზე მაცხოვარს ჯვარი?
ვიცი, ჯვარს აცვეს
და განიხვნა სამოთხის კარი!
ადამის მოდგმა გაცემას, ღალატს,
კი, დღესაც გლოვობს,
თავად იცოდა,
ეკლის გვირგვინი
რომ ელოდა
ამქვეყნის ბოლოს.

მე კი არ ვიცი
სად წამიღებს
დღეს და ხვალ ქარი-
იქნებ მიაბზო?
მაპოვინო,
უფალო, ჯვარი!

1986 წელი

მიუღივართ, საით?

შენ ჩემში ზამთრის ღიმილად შემოხვედი,
თვალწინ გამეფინა ნუშის გაკვირტება,
მზეში აითქვიფა ცივი გაფითრება,
იით შეიღება ნაზი გარინდება.
და მე გაზაფხულში ტანი განვიბანე,
სულშიაც წვიმამ თითქმის გადაიღო,
მაგრამ შემოდგომას თურმე დავიბადე
და მე გაზაფხულმა კარი არ გამიღო.

1986 წელი

თვითმფერი-ნავიდან

საოცარია:

მეპატიუები დედამიწაზე,

თანაც მარტებს:

ჭკუით ვიცხოვრო მტრების ჯინაზე.

რატომ გგონია,

სივრცეებში დავცურავ ზევით,

ან ვიმზირები მშვენიერი

სამოთხის ფერით?

მე უკვე ვნახე კაცთამოდგმის

შიშველი როგვა

და მოვისმინე ბალახის და

ლოდების გლოვა,

სულითკეთროვნის

ცრემლიანი დუდუნით ლოცვა

და მაინც ვიცი, სიმსუბუქე

უთუოდ მოვა.

მე დავინახე: „ქუჩაში, მტვერში წაიქცა ბავშვი“
როგორ მიჰქროდა თმააყრილი მოცარტი ქარში...

აღბათ, შენ ხუმრობ, თანაც სასტიკად,

სად შემოძლია მიწით პირთამდე ამოვსებულს

აფრენა ცაში?

და მაინც ვერა, ვერ განდევნე მტანჯველი ფიქრი,

კითხვის დასმა კი ცოტათი გიჭირს:

არსებობს კია გაზაფხული ამ მიწის იქით?

აბა, რა გითხრა,

დმერთმა არ მომცა შთაგონების გრძნეული ნიჭი.

მე გავიხსენებ აქაფებულ სილურჯის ბოლოს,

მზის ქარაფიდან გადმოხეთქილ ექოსა და ბანს

და მოკრძალებით გიპასუხებ მხოლოდ და მხოლოდ

იცი, ზევიდან დედამიწა უკეთესად ჩანს.

1985 წელი

გახსოვს მარიტა?

მე ვიცი მალე გაზაფხული
იებით მოვა
და ჩემშიც, ალბათ, გადაიდებს
წვიმა და თოვა,
მე სინარულით გაფეხვებოდი
მზის სხივებს ცოლად,
მაგრამ ეს სული გამხდომია
დატკეპნილ თოვლად.

P. S. ალბათ, ზედმეტად სქელღანჩიანი ფეხსაცმელები
თუ ეცვათ იმ ადამიანებს,
რომლებმაც მასზე გადაიარეს.

1985 წელი

რა არის ნება?

(ბათუმში ნატოს)

ვერ დავიჯერებ
თითქოს გგონია,
უკვე დაბერდი
და გაზაფხულის მოსვლა
არ გჯერა,
გულგრილობასაც უხმოდ დანებდი,
ვერ აგადელვებს ტალღების ჟღერა.
ვერ დავიჯერებ,
რომ სისპეტაკე სულ მალე ცვდება,
მშვენიერებაც ნელ-ნელა ქრება,
ვერ დავიჯერებ,
რომ თითქოს დარდმა დაკაწრა ვნება
და ნდომაც თურმე შურისგან კვდება.
შენში ხომ ისევ გაიბრძოლა

სიცოცხლემ, ქალმა,
მე სულ არ მიკვირს –
ზღვის სილურჯეა ასეთი მუქი,
საოცარია, სად დაიტია წვიმამ და ქარმა
ნეტავ შენს სულში
ქრისტეს სიკეთის ამდენი შუქი?

1985 წელი

ქვიშის ბილიკები

ზღვა სუნთქვას და დღეებს
რითმულად დაითვლის,
ჩვენ წაგაღთ-წამოვალთ
ყველანი თავისთვის...
მერე კი უეცრად ვიღაცა გაქრება –
სიკვდილი ჩვენს შორის
უთუოდ გაითვლის.
მე კი გავგონება ჭკუას ვერ ამირევს,
ვიცი მხოლოდ ფიქრით, ფიქრით გავგიჟდები,
სუნთქვა, შენი სუნთქვა
წაღეკავს ნაპირებს,
ზღვით ღანდი ამოვა
და მე ავტირდები.
ჩვენ შორის არ მდგარა ღამე მთვარეული
და არც სიყვარული კრძალვაგარეული,
მაგრამ შენ მხედებოდი
რადაც არეული
ზღვას წაუღეკავს ფიქრი ღამეული.

1984 წელი

თავისუფლება?

არა, არ მომართვა წითელი მიხაკები,
ასე მგონია, ცოცხლად ვიმარხები
და თუ შენ კვლავაც ოდესმე მინატრებ
ნუღარ გაიხსენებ სისხლისფერ მიხაკებს,
რადგან მაგონებენ სამარის ფილაქნებს.
მათი დავიწყება მრავალჯერ მიცდია
და ეს მიხაკებმა იქნება იციან,
ვიცი, რომ ისინი უყვარდა ტიციანს,
მაგრამ მე მინდვრად იები მიცდიან.

1984 წელი

წუთისსოფელი

(პასუხი ბატონ ნოდარს)

ვერ მოვიშორე ფიქრი ოხერი –
„ბინდისფერია წუთისსოფელი“
წუთია, თანაც მხოლოდ ბინდია
და უსაშველო ჭირი-ლხინია,
შემყვარებია ვაჟას მინდია
როგორ ვიპოვო?
(წუთში და ბინდში)
ვერ გამოვიბა.

1984 წელი

ქარი

ჯერ მიეფერება,
მერე კი გაძარცვავს,
ალერსით მონუსხულ ტყეს –
გულგრილად მოგლეჯს
უმწეო ფოთლებს,
ღიღინით გაატანს მტვერს.
უძირო სილურჯეს
ვნებით გააშმაგებს –
ზღვასაც კი შეუცვლის ფერს,
დაამგლოვიარეს ყაყაჩოს სიკვდილით –
სისხლით გადაღებავს ველს,
მაგრამ ძერას ვერ უზამს
ცრელგამშრალ მთებს
და გრძნობაშემშრალ ქვებს.

რა მირჩენია დღეს:
ვგავდე მდუმარე კლდეს,
თუ ქარში მთრთოლავ ხეს?

1984 წელი

საით?

არ დაივიწყო
მზის ბილიკი საცალფეხოა,
მთა კი დიდია,
მაგრამ წვერი ერთი ბეწოა
და შიშისაგან ხელი წაგიცდა
თუკი ნიღბამდე
გადაეშვები შლამში პირამდე.

და მერე, ალბათ, აღარ იღარდებ.

1984 წელი

ვარძია

ამ მიწაწყალზე წინათ
ბრძოლის ქარცეცხლში, ალბათ,
და გამარჯვების წილად
თუ მოსდიოდათ ფიქრად,
რომ გავიმარჯვებთ მერე
თუ ვიქცევითო გმირად?
და ეცემოდნენ მერე
და იმარჯვებდნენ მერე,
სისხლით შეღებეს მტრებმა
მდინარე, ყველა ღელე.
ხოლო საყდრების კედლებს,
როს ახატავდნენ ფრესკებს,
თუ აწუნებდათ, ალბათ,
რა იქნებოდა მერე
და დიდოსტატი ვინმე
კრძალვით არჩევდა ფერებს.

ახლაც გვაწუხებს მერე:
ამას მოვასწრებ მერე,
რომ გათენდება მერე,
რომ მოვკვდე უცებ მერე?
და დავფიქრდებით მერე:
ნეტავ იქ თუა მერე?

თუ წაიშალა მერე
გადაგავიწყდა მერე
რამდენიც გინდა, წერე.

1983 წელი

გუდაურში

ბალახი ყვავილში ჩაძირულა,
ნიაფი ტკივილებს მიცხრობს,
ფერდობი ცხვართ დანისლულა
და მთები თავისკენ მიხმობს.
ციხეთა ნანგრევნი გარიყულან,
ძველ ამბებს მანდობენ თითქოს,
ეს მთები კერპად აზიდულან,
ქალაქი არც არსებობს ვითომ.
ასკილის ყვავილი გარინდულა,
გვირილა თავისას ფიქრობს,
მზის წვერი ჟინივით მიპყრობს
და გულში ყვირილით გიხმობ.

1983 წელი

კარგია მოცდა?

დაბადებამდე იცდი,
გათენებამდე იცდი,
გალიმებამდე იცდი,
გაზაფხულამდე იცდი.
მიწას გართმევენ იცდი,
რის იმედი გაქვს, იცი?
დგები ყოველდღე რიგში
და არენასთან ცირკში
ბურთს რომ ჩაგჩრიან პირში
დარბაისლურად იცდი,
რას ელოდები, იცი?
სიკვდილს გადაწვდა ფიქრი –
მოიცა, არ გინდა ფიცი!
პასუხი ისედაც ვიცი.

1983 წელი

დაველოდები

ერთხელ მითხარი:
ნუ იდარდებ
დღესო ხვალისთვის,
დაველოდო სიყვარულსაც
მხოლოდ ხალისით.
დაველოდები
სუყველაფრის მოსვლას თავისით,
დაველოდები
ჩემთან ერთად დროც თუ დაიცდის.
დაველოდები,

მე გაზაფხულს დაველოდე,
დაველოდე
გალიმებას ნუშის კვირტებში,
დაველოდე,
მე სიყვარულს დაველოდე,
გავირინდე
მოლოდინის ნაცნობ ფიქრებში.
დაველოდე
დედის მოსვლას სამსახურიდან,
პატარა ბავშვის ჩამორბენას
ნაცნობ ქუჩიდან,
დაველოდე
შემოდგომის ფოთოლთა ცვენას,
გადაკარგული მეგობრების
ბეჭდებურ მზეერას,
დაველოდე
ვაზის ყლორტზე მტევნების მოსხმას,
გაჩერებაზე ავტობუსის ზოზინით მოსვლას
და ვიოცნებებ ახალგაზრდულ
მხიარულ ქარზე,
როცა სიბერის ქარიშხალი დამფარავს ფიფქით,
დაველოდე
მოწყენილ ზარს გაღებულ კარზე,
თუნდაც შემთხვევით ან შეცდომით
ღარეკონ იგი.

ერთხელ მითხარი:
ნუ იდარდებ დღესო ხვალისთვის,
დაელოდეო სუყველაფრის მოსვლას თავისით.
დაველოდე, მაგრამ იცი?
ეს დრო დამიცდის?

1982 წელი

შემოდგომის ფრაგმენტი

უხმოდ მიყვები ნაცნობსა და საყვარელ ქუჩებს,
ფიქრით დანისლულს ეს დღეც უცებ შემომადნება,
მთაზე მწუნარედ დაეშვება ჩემი ოცნება:
საღამოს ჟამი დამილოცეს იმ მწვერვალებმა.
მე გავეხვევი ყვითელსა და მსუბუქ ფოთლებში,
შევიღებები შემოდგომის ფერთა პალიტრით
და ქართან ერთად გაფრინდები ზღვისდარ ღრუბლებში
დამიტირებენ ახალგაზრდა მოკვდავ ქალივით.
წამოვა წვიმა, ჩამოწვება მეღანქოლია,
იტყვიან, ალბათ, ეს რა ცუდი ბედი ჰქონია,
მე კი უეცრად შემოდგომის ფერებად მოვალ –
გაიფანტება სევდიანი, პირქუში გლოვა,
დავრჩები მთებზე სამუდამოდ ღრუბლებთან ერთად
და თავს არ ვიგრძნობ არასოდეს ეუღლად, კენტად,
დავტკბები ტანჯვით, შორეული ზღვის მღვლეარებით,
ჩემი ცხოვრება ბოლოვდება იმ მწვერვალებით.

1981 წელი

პირველი ლექსი

(მურმან ლებანიძეს)

ქუჩაში ბევრჯერ შემხვედრია
მისი ნაცნობი სახე,
რამდენი ლექსიც წავიკითხე,
იმდენი სამყარო ვნახე.
ვნახე პოეტი
სვანეთის მთაზე.

ამაყად მდგომი „მარე“
და დავინახე
ბავშვობის გზაზე
„ცაზე პატარა მთვარე“.
ის, ალბათ, პირველ ლექსებზე ჯავრით
აღარ უბრაზდება „ლექსების ჯაღოს“,
გარდასულს იხსენებს ღიმილის წამით
და წლების თეთრი ფიფქები ათოვს.

1979 წელი

ალბათ, იმიტომ

მინდა გავიგო, თუ რატომ
ან რისთვის ტირის ტირიფი,
ან რატომ მიდის სიცოცხლე
დაუცხრომელი ჯირითით?
რატომ მგონია, რომ ნატვრა
ანდება ზღაპრულ თილისმით?
რად ვეგებებები განთიადს
ყოველთვის ნაზი, თბილი ხმით?
რატომ მგონია ყოველი
ჩაივლის სიცხელ-კისკისით?
ან თაფლისფერ თვალები
რისთვის მიბრწყინავს,
ვინ იცის?

მზე შემიყვარდა და მისკენ
მივდივარ სხივის ბილიკით.

1979 წელი

საგანი ისტორია:

(იყო 14 აპრილი)

(მუხრან მაჭავარიანს)

გჯერა ყოველთვის იარსებებს ეს საქართველო
და მზის სხივები მოაშუშებს ამ ჩვენს იარას!
სისხლიან გზებით ჩემმა გენმა მისთვის იარა,
რომ კვლავ ეცოცხლა ქართლის დედის
ხმაღს და ფიაღას?

გჯერა, რომ კვლავაც დაიგუგუნებს
წინაპართ სისხლი, ვითარცა მეხი,
ცრემლგამშრალ დედას, თუ ქართველ ვაჟკაცს
არ გაუწყრება ბრძოლაში ღმერთი?

გჯერა, რომ კვლავაც იხარებს მუნა,
არ დაგვესმევა ბოლოს წერტილი,
ახლანდელ მტერთან ხმაშეწყობილად
ვერ გაიცინებს ჯაღალღედინი?

1978 წელი

შემოდგომა

შემოდგომის ფერები,
ბრწყინავს ყურძნის მტევნები,
ყვითელ ფოთლის ფენებით
იფარება ტყეები.
სიოსაგან ნელ-ნელა
იძარცვება ხეები,
ქარივით მიფრინავენ
ფრთაშეხმული დღეები,

თოვლით დაიფარება
მობიბინე თელეები,
ჩემო ჩიტო-ჩიორა
შენ ვის მიეკედლები?

1978 წელი

წუთები, წამები, წუთები

ბავშვობის წლები
მიქრიან, ხტიან ასკინკილათი,
ნეტავ არ გაკრთეს,
კვლავ ელავდეს ეს ათინათი,
კვლავ მომეჩვენოს
თეთრი ღრუბელი
საპნის ბუშტულად,
არ შემომხედოს
უმთვარო ღამემ
ცივად, უჟმურად.
დღეს უკვე ვდარდობ:
ის დღეები
გაფრინდა როდის
და ჩემთან მხოლოდ
იმ ოცნების
ღანდები მოდის.
ძალიან მინდა
გაფრენა მინდვრად,
რომ მივეფერო
ღამაზ გვირილას,
ხელზე დავისვა ჭიამაია,
გზას მაპოვნინებს,
სახლში მიმიყვანს.

მე ისევ მინდა
კვლავაც ვირწმუნო,
რომ ზამთრობისას
სცივათ თოჯინებს
და უღრან ტყეში,
შელამებულზე
ოჩოპინტრე და ჭინკა
ფოტინებს
და არჩევანი
მანც ძნელია,
ზოგი სევდაა,
ზოგი „დეღია“.
მაგრამ წუთს ძაღა
არ შერჩენია:
ზოგი ჩემია,
ზოგი შენია.
ზოგი შავია,
ზოგი თეთრია...

მე ისევ მინდა
ბროლის ქოშებით
კვლავ მომეახლოს
ზღაპრის ფერია,
მანც მეონია,
რომ ეს ქვეყანა
გახუნებული
ვარდისფერია.

1978 წელი

სარჩევი

გაზაფხულ-ია!	
(თამუნ-ია).....	3
... და ნინო.....	3
ყველაფერი ტრიალებს?.....	4
მეცნიერება.....	5
ზღვა და კიპარისები.....	5
ისევ მოდერნი, თუ ბეთჰოვენი?.....	6
რა არის დაღლა?.....	6
შობის მოსალოცი ჩვენთვის.....	7
ძველების სიმღერა.....	7
ზოგჯერ დეფექტი არის ეფექტი.....	8
რამ გამაკვირვა ნეტავ?!.....	8
გაცნობა.....	9
ჩვენში ასეა.....	9
სეტყვა.....	10
იუნკრული.....	10
ძველი ფურცელი.....	11
კაბადოკიისკენ.....	11
გლობალიზაცია?.....	12
ჭრელია წუთისოფელი.....	12
(სად მიდიხარ, „სხვაგან“?).....	13
„შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!“.....	13
ძველი ამბავი.....	14
ოცნება მთვარეზე.....	14
ვინ ხარ?.....	15
ჩვენებური ქუდი.....	15
ზღაპარი სამშობლოზე.....	16
გახსოვს «მერანი» ?.....	17
ბილიკი.....	18
ბრუნავს და ბრუნავს.....	18
მივყვე დინებას?.....	19
არჩევანი.....	19
ჩვენ ძალადობა „ოდითგან მოგვსდევს“?.....	20
„რა ხდება (და რატომ ხდება)“?.....	20
მაინც რა არის მშვენიერება.....	21

სიყვარული ჩვენთვისაა?.....	21
ხელის და ყურძნის მტევანი.....	22
142-ე.....	22
ვცეკვავთ და ვცეკვავთ.....	23
ხეტიალი.....	23
ახალი წელი.....	24
რომელიმე (... იზმი).....	24
პოლიტიკა.....	25
ნათლისღება.....	25
როგორც შექსპირი.....	26
მე ვარ სამშობლო.....	26
ნიავო!.....	27
მეხსიერება (9 აპრილი).....	27
ერთი ოთხშაბათის წვიმა.....	28
ბევლი სიმღერა.....	28
ჩვენ, ადამიანები.....	29
ცისარტყელა.....	29
ნუღარ დამიშლი.....	30
მომაკვდავი მზე.....	30
ისევ ცისარტყელები.....	31
დედას.....	32
იყო შაში მგალობელი.....	32
ჩვენი ზღვა.....	33
სიყვარული აქა-იქ.....	33
ნისლის ტრაგედია.....	34
ერთი ამბავი.....	34
სალადობოდ.....	35
ისევ ჩვენ და ისევ ჩვენ.....	35
რა ვიცი.....	36
გაზაფხული.....	36
არ ვიცი.....	37
პოდიუმი.....	37
სიყვარული მყოფლით.....	38
მიძღვნა.....	38
ქროლვა.....	39
ისევ ომი.....	40
გორაკი და მთა.....	40

უსიტყვოდ.....	41
პირველი სიტყვა.....	42
ვარდისფერია სოფელი?.....	42
მამლის ყვილი.....	43
წინათგრძნობა.....	43
აქ, შორიახლოს.....	44
ვარსკვლავთცვენა.....	45
სიხარული.....	46
ქუჩაში, მტვერში	46
მედიტაცია.....	47
ხილვა.....	47
გახსენება.....	48
ვის, ნიცშეს?	
არა, კიერკეგორს.....	48
როგორც ამბობენ ფრანგები.....	49
<i>რამდენიმე ფრაგმენტი ძველი ფურცლებიდან:</i>	
ამას რა ქვია?.....	50
ომზეა ეს ამბავი?.....	51
როცა მიაბზე.....	52
ზღაპარი სიკვდილზე.....	52
შიში.....	53
გულმავიწყობა ცუდია.....	53
რა არის ტაძარი?.....	54
მერე რა, რომ ქარია.....	54
რუხი ფერადოვნება.....	55
თურმე მზე პირს იბანდა.....	55
იცი ფერების ცნობა?.....	56
ბილიკები.....	57
მივდივართ, საით?.....	57
თვითმფრი-ნაფიდან.....	58
გახსოვს მარიტა?.....	59
რა არის ნება?.....	59
ქვიშის ბილიკები.....	60
თავისუფლება?.....	61
წუთისსოფელი.....	61
ქარი.....	62
საით?.....	63

ვარძია.....	63
გუდაურში.....	64
კარგია მოცდა?.....	65
დაველოდები.....	65
შემოდგომის ფრაგმენტი.....	67
პირველი ლექსი.....	67
ალბათ, იმიტომ.....	68
საგანი ისტორია:.....	69
შემოდგომა.....	69
წუთები, წამები, წუთები.....	70



ია ბურღული დაიბადა ქალაქ თბილისში, არის გერმანისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასაველეთ ვეროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

მისი შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებაა პოსტმოდერნიზმი.

საბუნების ბეჭედი ლევანსულა

ბრძოლ კიამბო ლევანსულაზე.
გნებნის რამე იყაროსზე?
აწ ვიქი ვვინტური ვიზიჯა.
ბეჭედი ბეჭ სხვათი ვინიკავს.
აქობი ხაზოკვხ მებს:
მუ ვახევემ ბიკოვხ ბეჭს...
ბო, ლევანსულით ვკლავ ვბოძოქეთი.
როიქა ვულს ქვივა ელექტრონები.

2013 წელი